# ბორჯომი

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

17 თებერვალი ხუთშაბათი 2022 წელი №7 (9217)

ფასი 40 თეთრი


## შეხვედრა ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით



**13 თებერვალს სასტუმრო „ბორჯომი-ლიკანის“ სააქტო დარბაზში გაიმართა „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“-ს ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებული შეხვედრა, რომელსაც უძღვებოდა პარტიის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე.**

შეხვედრას ესწრებოდნენ საპარლამენტო უმრავლესობის წევრები: **ნინო წილოსანი, ირმა ზავრადაშვილი, ანტონ ობოლაშვილი, სამველ მანუკიანი, სუმბატ კიურეღიანი,** ეკონომიკის მინისტრის მოადგილე **მარიამ ქვრივიშვილი**, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის მერი **ანივარდ მოსოიანი,** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერი - **ოთარ არბოლიშვილი,** ბორჯომის საკრებულოს თავმჯდომარე - **დავით ზაალიშვილი,** სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში - **ბესიკ ამირანაშვილი,** სამცხე-ჯავახეთის მხარეში პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების წევრი ქალები.

გამართულ შეხვედრას ესწრებოდნენ ბორჯომის, ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ნინოწმინდის და ახალქალაქის ადგილობრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები, ისაუბრეს ქალთა ორგანიზაციის დაფუძნების ვადებზე. შეჯერდა პოზიციები დამფუძნებელი ყრილობის ჩატარებასთან დაკავშირებით.

შეხვედრები გაიმართა ასევე მცხეთასა და გორში, მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის მხარეში პარტიის ადგილობრივი ორგანიზაციების წევრ ქალებთან.

„ქართული ოცნების“ ქალთა ორგანიზაციის დაფუძნებასთან დაკავშირებით შეხვედრები გაგრძელდება.

## ჯანდაცვის მინისტრის განცხადება



**ჯანდაცვის მინისტრის ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, ჯანდაცვის სამინისტრო საკომუნიკაციო კამპანიას იწყებს და სპეციალურ რგოლებს დაამზადებს, რომლითაც მოსახლეობას სახლის პირობებში მკურნალობის წესებს გააცნობს.**

**მან ჟურნალისტებთან განაცხადა, რომ როგორც სხვა ქვეყნების გამოცდილებამ აჩვენა, ომიკრონი სეზონურ გრიპად გადაიქცევა.**

**ვაპირებთ სარეკლამო, საკომუნიკაციო კამპანია დავიწყოთ, თუ როგორ უნდა იმკურნალონ სახლის პირობებში ომიკრონის დროს. როგორც ვხედავთ და სხვა ქვეყნის გამოცდილებამაც აჩვენა, ეს არის ჩვეულებრივი, მიმდინარე სეზონური გრიპი. ის ასეთ გრიპად გადაიქცევა. მნიშვნელოვანია მოქალაქეებმა სახლის პირობებში იმკურნალონ და მივცეთ მათ სწორი რეკომენდაციები თუ როგორ უნდა იმკურნალონ სახლის პირობებში. ხოლო იმ კატეგორიას, რომელიც არის ქრონიკული დაავადებებით ან მაღალი რისკის ჯგუფში, ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე ვთავაზობთ კლინიკაში გადაყვანას და თუ არის შესაძლებელი ბინაზე მკურნალობა, იქაც მაქსიმალურ კონსულტაციას გავუწევთ.**

**რაც შეეხება ოჯახის ექიმების ოდენობას, ბოლო ერთ კვირაში დავამატეთ დიდი რაოდენობით ოჯახის ექიმები, რათა კვალიფიციური კონსულტაცია გაუწიონ მოქალაქეებს. ასევე, ქოლცენტრის ოპერატორები დავამატეთ და ამაში სამედიცინო უნივერსიტეტის ბოლო კურსის სტუდენტები და რეზიდენტები გვეხმარებიან, - განაცხადა ზურაბ აზარაშვილმა.**

## ყვიბისში შიდა საუბნო გზები მოასფალტდება

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის სოფელ ყვიბისში, შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.

მუნიციპალიტეტის მერიის ინფორმაციით, სოფელ ყვიბისში ე.წ დარბაიძეების, შუბითიძეების, ხაჩიძეებისა და ციცქიშვილების უბანში, ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზაზე ასფალტობეტონის საფარიანი გზა დაიგება.

გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 459 001 ლარია გამოყოფილი.

სამუშაოების შემსყიდველი კომპანია ამასთანავე ვალდებულია, ახალი კორონა ვირუსის (covid-19) გავრცელებასთან დაკავშირებით, ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, სამუშაოების შესრულების პროცესში უზრუნველყოს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული რეკომენდაციების დაცვა, რათა სამუშაოების შესრულების პროცესი შეფერხების გარეშე წარიმართოს, - აცხადებენ მუნიციპალიტეტის მერიაში.

## ბენეფიციარებს ეტლები გადაეცათ



**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერიამ, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 11 პირს ეტლი გადასცა.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ **იოსებ რაზმაძემ** და ჯანმრთელობის დაცვის, სოციალური უზრუნველყოფის, ბავშვის უფლებების დაცვის და მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა **მიხეილ ხუციშვილმა** ბენეფიციარებს ეტლები პირადად სახლში მიუტანეს.

ეტლების შეძენა ბორჯომის მერიის თანადგომით, საერთაშორისო ასოციაციამ „საქართველოს ქალები მშვიდობისა და სიცოცხლისათვის“ უზრუნველყო.

ეტლის გადაცემის მოთხოვნით ბორჯომის მუნიციპალიტეტში 11 განცხადება იყო შესული, მერიამ მოქალაქეების მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა.

## დევნილებისთვის ბინები აშენდება

**11 თებერვალს** გაიმართა ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, რომელსაც უძღვებოდა საკრებულოს თავმჯდომარე **დავით ზაალიშვილი.**

დეპუტატებმა იმსჯელეს ბორჯომის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სახელმწიფოსათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 108-ე მუხლის, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 07.02.2022 წლის №03/2233 წერილის და სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს 08.02.2022 წლის №5/6309 წერილის საფუძველზე.

სახელმწიფოს უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაეცა ქ. ბორჯომი, ახალი უბნის დასახლებაში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 1257 კვ.მ მიწის ნაკვეთი (ს/კ 64.23.04.002) და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები (№1 საცხოვრებელი სახლი, ობიექტი №2 ავტოფარეხი, ობიექტი №3 ავტოფარეხი და ობიექტი №3 საყარაულო ჯიხური).

გამოყოფილ ტერიტორიაზე აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული პირთათვის აშენდება საცხოვრებელი სახლები.

ამავე საკითხზე საფუძვლიანი სჯა-ბაასი გაიმართა საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო, ეკონომიკისა და ქონების მართვის კომისიის და საკრებულოს ბიუჯეტის სხდომაზე, რომელსაც ესწრებოდნენ საკრებულოს თავმჯდომარე დავით ზაალიშვილი. მოადგილეები გიორგი ფერაძე, ნიკოლოზ კიკნაძე, ჯუმბერ კურტანიძე, კომისიის და ბიუროს წევრები.

მარტიდან დაიწყება ახალუბანში დევნილებისათვის ბინების მშენებლობა.

**დეპუტატებმა წარმოდგენილ წინადადებას მხარი დაუჭირეს.**



## ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა

**ბორჯომის მუნიციპალიტეტის დაბა ბაკურიანში, შიდა საუბნო გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერი გამოცხადდა.**

**სამუშაოების ფარგლებში, წაქაძის ქუჩაზე და სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე არმირებული ბეტონის საფარიანი გზა დაიგება.**

**გზის სარეაბილიტაციო სამუშაოების განსახორციელებლად, სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტიდან 561 772 ლარია გამოყოფილი.**

## დანიშვნა



**საქართველოს ორგანული კანონის მე-6 მუხლის 1[2] პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის საფუძველზე, თედო მელიქიძე ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწედ დაინიშნა.**

**დოსიე: თედო მელიქიძე 1983 წლიდან დღემდე მუშაობდა სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობებზე: პედაგოგად, რაიონის გამგებლის მრჩევლად. მიწისა მართვის სამმართველოში მთავარ სპეციალისტ-ექსპერტად, რეგიონის კონტროლის პალატის ინსპექტორად. ს.ს. „დიდველის“ კადრების უფროსად. აქტიურად მონაწილეობდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის ავარიის ლიკვიდაციაში.**

**2012 წელს დაამთავრა ქ. თბილისში ფსიქოლოგიის ექვსთვიანი კურსები „ტექნოლოგია ვერ შეცვლის ზნეობას“ და მოიპოვა წარჩინებილი სერთიფიკატი.**

**2002-2021 წლებში არჩეული იყო ქ. ბორჯომის მაჟორიტარ დეპუტატად, საკრებულოში ხელმძღვანელობდა საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.**

**2010 წელს გამოსცა წიგნი სათაურით „ვინც მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“.**

## იგეგმება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია



**მიმდინარე** წელს ბორჯომში, სააკაძის ქუჩის №2, აღმაშენებლის №35, მესხეთის №35 და №61-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაცია იგეგმება.

პროექტის ფარგლებში, სრულად განახლდება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ფასადი, შეიცვალება სახურავი, აივნი და კარ-ფანჯარა, მოეწყობა დეკორატიული ელემენტები და განათება. ასევე, მესხეთის ქუჩის №35 და №61 მიმდებარედ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის ეზოს არსებულ ღობეს ჩაუტარდება რეაბილიტაცია.

ბორჯომის მერია, ქალაქის მასშტაბით მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ფასადების რეაბილიტაციას მომავალშიც გეგმავს.

შეგახსენებთ, რომ 2021 წელს ბორჯომში შვიდი მრავალბინიანი სახლის ფასადის რეაბილიტაცია განხორციელდა.

## შანიძის ქუჩაზე სკვერი მოეწყობა

**ბორჯომის** მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით, შანიძის ქუჩის №24-ში, სკვერი მოეწყობა.

პროექტი დასასვენებელი სივრცის, შიდა ბილიკების, გასართობი მოედანის, საბავშვო ატრაქციონების, ფანჩატურის, ბორდიურის, საყრდენი კედელის მოპირკეთდებას, გამწვანებას და სკვერის განათების მოწყობას ითვალისწინებს.



# გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ გაზეთი „ბორჯომი“

### როცა ზნეობა დაქვეითებულია

# ყოველსეზონური პრობლემები ბაკურიანში

**ერთი წლის წინ მკაცრი კოვიდრეგულაციების გამო თითქმის ჩავარდნილი ზამთრის სეზონის შემდეგ, წელს, კორონავირუსის პანდემიის თითქმის ორი წლის თავზე და შემსუბუქებული რეგულაციების გამო, ზამთრის სეზონს, ბაკურიანი ურიცხვი რაოდენობის დამსვენებლით შეხვდა. საახალწლო არდადეგებზე კურორტის ქუჩებში უამრავი ხალხი და ორჯერ უფრო მეტი მანქანა მოძრაობდა. საახალწლოდ მოთოვა კიდეც და სათხილამურო ტრასების ნაწილი გაიხსნა, ნაწილი კი მაინც მცირე თოვლის საფარს უჩიოდა და მათი გახსნა მხოლოდ იანვრის შუა რიცხვებში მოხერხდა.**

**როგორც ხშირად მომხდარა, დამსვენებლების, ვაჭრების, გამქირავებლების სიმრავლემ მთელი რიგი სერიოზული პრობლემები წარმოქმნა საკურორტო დაბაში. რაც ყველაზე სავალალოა, სოციალური ქსელების „დახმარებით“ ირკვევა, რომ თურმე ქართველებს ჯერ მენტალური პრობლემა გვაქვს მოსაგვარებელი და მერე ალბათ, ყველაფერს ეშველება (თუმცა რამდენად ადვილად მოგვარებადია საერთოდ მენტალური პრობლემები, ეს კიდევ ცალკე განხილვის თემაა).**



**ამ სეზონზე სამი ძირითადი პრობლემა წამოიწია წინ: კოვიდრეგულაციებისადმი ქართველების გულგრილი დამოკიდებულება, საცობები ქუჩებში და დასუფთავების პრობლემა (უფრო სწორად ნაგვის დაყრის პრობლემა).**

**პრობლემა ნომერი პირველი** – კოვიდრეგულაციების დაცვა. ბაკურიანში ურიცხვი რაოდენობის სხვადასხვა ტიპის დიდი თუ პატარა სასტუმრო, რესტორანი თუ კერძო გასაქირავებელი სახლია და მათი შემოწმება თითქმის შეუძლებელია. იცავენ თუ არა მათი მეპატრონეები კოვიდრეგულაციებს, არავინ იცის, თუმცა დიდი და ცნობილი სასტუმროები, როგორიცაა მაგალითად სასტუმრო „კრისტალი“, იქ რასაკვირველია, ყველაფერი მოწესრიგებულია. კერძო სახლებს რაც შეეხება, იქ მფლობელების პასუხისმგებლობაზეა ყველაფერი დამოკიდებული. მაინც მთავარი პრობლემა ქუჩაში და თავშეყრის ადგილებზე პირბადის გარეშე სიარულია. პარკში, საბაგირო გზების რიგებში, ღია სავაჭრო ცენტრებში, იქ სადაც ძალიან ბევრი ადამიანი იყრის თავს, გარდა იმისა რომ, სოციალურ დისტანციას აღარავინ იცავს, პირბადიანსაც კანტიკუნტად თუ ნახავთ. ანუ ძირითადად ხალხი პირბადის გარეშე გადაადგილდება. და იმ მოსაზრებას, რომელიც გავრცელდა სოციალური ქსელის საშუალებით (რომელის მომგონებლებისა და გამზიარებლების აზროვნება ქვის ხანის აზროვნებას ვერ გასცდა), რომ თურმე – **ბაკურიანში კორონავირუსს რა უნდა, მაგ სუფთა ჰაერზე**, სამწუხაროდ, თურმე ბევრი იზიარებს. და ამიტომაც „შორს ჩვენგან პირბადეებიო“ და საზოგადოების უმეტესობამ მოისროლა კიდეც. საკითხავია, ნეტა ვის ეჯიბრებიან? სამოქალაქო პასუხისმგებლობა შარშანდელთან შედარებით ამ მხრივ უფრო მეტად დაკნინდა და დაქვეითდა.

**ნომერი მეორე პრობლემა** – საცობები გზებზე საზოგადოების შეუგნებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. კიდევ განვმეორდები და ვიტყვი, რომ პასუხისმგებლობა და თვითშეგნება, მენტალობა ამ საკითხშიც პირველ ადგილზე დგას. რადგან გარდა იმისა, რომ მანქანების სიმრავლე ეს უკვე პრობლემაა, საცობებს ქმნის ზუსტადაც მათი მფლობელების უპასუხისმგებლობა, რადგან ბაკურიანში ამოსულ თითქმის არცერთ მანქანას ზამთრის საბურავები არ უკეთია. მათი გადაადგილება თოვლიან გზებზე კი პრობლემურია, ისინი სრიალდებიან, თოვლში იჭედებიან და ხერგავენ გზას. იქმნება კილომეტრიანი საცობები, და ზუსტად ასეთ საბურავებიანი მანქანების პატრონები გამოხტებიან ხოლმე სოციალურ ქსელებში და ლანძღავენ ყველას და ყველაფერს – ბაკურიანს, ხალხს, ქვეყანას (თითქოს ისინი თავად არ იყვნენ ქვეყნის სახეები!). გზების გაწმენდისა არ იყოს, ამ საცობების გამო ისინი ღამით იწმინდება. თუმცა აქაც გამოხტნენ უკმაყოფილო მოქალაქეები – ღამით არ გვაძინებს გზების გამწმენდი მანქანების ხმაური, ნუთუ არ შეიძლება დილით გაწმინდონო. და რატომღაც ღამის სამ საათზე რომელიღაც რესტორნიდან მომავალი ჯგუფი მთელი ხმით რომ ღრიალებს სიმღერას, მათზე არაფერს იტყვის ზუსტად ის, ვისაც გამწმენდი მანქანების ხმაური აწუხებს (რომელიც სულაც არაა გასართობად გამოსული), ისინი არ აწუხებენ არავის, ისინი ხომ ისვენებენ, დროს ატარებენ... ჰოი, ქვის ხანის აზროვნებავ...

**მესამე პრობლემა** – დასუფთავება და აქაც ქვეყნის, ერის და ბაკურიანის ვითომპატრიოტებმა, ვითომ კაცთმოყვარეებმა თავი გამოიჩინეს. და რამდენ ღვარძლიან ადამიანს ააშკარავებს ეს დალოცვილი (თუ დაწყევლილი) სოციალური ქსელები! ყველა წამოყელყელავდა – წერა-კითხვის უცოდინრები კი პირველ რიგში დგანან ლანძღვა-გინების და სხვების დადანაშაულებასა, ქილიკსა და პრეტენზიებში. მთელს ფეისბუქს მოედო ბაკურიანის ერთ-ერთ უბანში გადაღებული გადავსებული ნაგვის კონტეინერების ფოტო ცინიკური კომენტარებით, დაახლოებით ასეთი ტიპის – „უპატრონო ბაკურიანი“, „ესაა თქვენი კურორტი?“ და ა.შ. მაინტერესებს ამ ფოტოს ამტვირთავების აზროვნება (ისევ გამოქვაბულის ხანის ადამიანის, არც მეტი არც ნაკლები) – ვის ყურადღების მიქცევას ცდილობენ? ყველამ იცის, რომ დასუფთავების მანქანა მთელი ღამე – საღამოს 9 საათიდან დილის 9 საათამდე მუშაობს. არასეზონზეც კი დილაუთენია ამ მანქანის ხმაზე საათის გასწორება შეიძლება. დასუფთავების თანამშრომლები დილით და საღამოს დადიან და კრეფენ ქუჩებში დაყრილ ნაგავს. დილაობით ყველა ნაგვის ბუნკერი ცარიელია, მაგრამ როდესაც ჩვენი მოსახლეობა თავის დამსვენებლებით ნაგვის გადაყრას იწყებს, იმ ნაგვის რაოდენობას რატომღაც არავინ ითვლის და წონის, თითოეული ოჯახიდან ხუთიექვსი ნაგვის ტომარა იყრება, ბუნკერები სავსეა პურით, ხილ-ბოსტნეულით, მზა კერძების ნარჩენებით. განა ეს უპასუხისმგებლობა არ არის? რა უფლება აქვს მოქალაქეს, რომელიც ოდნავადაც არ ზრუნავს იმაზე, რომ გააკონტროლოს რამდენი ნაგავი გააქვს ყოველდღიურად სახლიდან, მოსთხოვოს პასუხი სხვას? განა ჩვენ არ ვართ ჩვენივე ქალაქის, დაბის, სოფლის, ქვეყნის პატრონები? **განა თითოეული ჩვენგანიდან არ იწყება ის ქვეყანა, რომელშიც ვცხოვრობთ? რა უფლება აქვს იმ ადამიანს, რომლის ეზო-კარი საღორეს ჰგავს, ქუჩაში დაყრილ ნაგავზე ილაპარაკოს და ვინმე აკრიტიკოს? რა უფლება აქვს იმ ზრდასრულ ადამიანს, რომლის გონებრივი განვითარება ინტერნეტში გავრცელებულ უგემოვნო ხუმრობებსა, ფეიქ-ნიუსებს და ჭორებს არ სცდება, სხვას „ყანა“ ან განუვითარებელი უწოდოს?**

**ჯერ საკუთარ თავს მოსთხოვე, მერე სხვას.**

**ჰო, მართლა, ნაგავზე გამახსენდა ციტატა ერთი წიგნიდან: „ნებისმიერ ქალაქში ნაგავი ის არაა, რაც ნაგვის კონტეინერებში ყრია, ნაგავი იმ ადამიანებშია, ვინც ამ ნაგავს ყრის“.**

**რუსუდან სხირტლაძე**

## მოკლე ანალიზი



**სტრატეგია აღმაშენებელის ერთ-ერთ ლიდერს მოვუსმინე ეთერში, საზოგადოებაში ნიჰილიზმია, პოლიტიკოსებისადმი ნდობა არაა და ეს სიტუაცია რომ შეიცვალოს, მათ პრობლემებზე უნდა დავიწყოთ საუბარიო.** მაგალითად, პენსიონერების საკითხები წამოვწიოთ წინო და სხვა. მართალია ძალიან გვიან, მაგრამ კარგია, მაგ დასკვნამდე, თუ მივიდნენ, რომ პოლიტიკოსობა ადამიანების პრობლემების გადაჭრაზე მუშაობა უნდა იყოს! თუმცა თუ პოლიტიკოსები არათანმიმდევრულნი არიან და არარეალურ დაპირებებს გასცემენ, ეს პირიქით, მათ მიმართ ნდობას ამცირებს. ბოლო არჩევნების წინ რომ გაახსენდათ პენსიონერები და საპენსიო სესხის გაიაფების საკითხი, არაუშავს. რაც ამ თემაზე დაიწყეს საუბარი ჯერ მხოლოდ პოპულიზმი და გაბერილი ციფრები გვესმის. მიუხედავად რამდენიმე თვიანი ე.წ. მუშაობისა, ჯერჯერობით რეალური სქემა საპენსიო სესხებზე პროცენტის შემცირების არ წამოუდგენიათ და საუბარი მიდის ისეთი მიმართულებით, რომ შეიძლება საერთოდ უკუშედეგი დადგეს.

ცნობისათვის, სულ 2-3 წლის წინ საქართველოში სწრაფ არაუზრუნველყოფილ სესხებზე საპროცენტო განაკვეთები 600%-ს აჭარბებდა, მათ შორის ე.წ. საპენსიო სესხის ეფექტური განაკვეთი 100%-ზე მეტი იყო. შემდეგ დააწესეს კრედიტის საპროცენტო განაკვეთებზე 50%-იანი ზედა ზღვარი და დღეს საპენსიო სესხის პროცენტი 30,6%-ია. სესხების სიძვირე პოლიტიკოსებს დიდად არასდროს აწუხებდათ, პირიქით, მაშინ სესხებზე ზედა ზღვარის დაწესებას პოლიტიკოსების უმეტესობა ეწინააღმდეგებოდა, როცა საპენსიო სესხები 100%-ზე მაღალი იყო, მაშინ ვაშაძე და მისი პარტია არსად ჩანდა, ხოლო დღეს როცა საბაზრო პირობებია, ღია კარს ამტვრევს.

ჰო და იმის თქმა მინდა, რომ არათანმიმდევრულობა და პოპულიზმი, რომელსაც შემდეგ აუცილებლად მოჰყვება იმედგაცრუება, უფრო მეტად აზარალებს პოლიტიკოსებისადმი მოსახლეობის ნდობას როგორც არაფერი. კარგი იქნება, სანამ რაიმე პრობლემაზე დაიწყებენ საუბარს, ჯერ საფუძვლიანად შეისწავლონ, რომ იგივე სიტუაციაში არ აღმოჩნდნენ მომავალში, როგორც დღეს საპენსიო სესხებთან დაკავშირებით ხდება.

**მერაბ ჯანიაშვილი,**
**ანალიტიკოსი**

### როდის შევიყვარებთ მშობლიურ ქალაქს?

# მშობლიური ქალაქი შენი ეზოდან იწყება!

**ბოლო დროს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერია მრავალ პროექტს ახორციელებს ქალაქის გასალამაზებლად. გალამაზდა ბორჯომის ბევრი უბანი, მომრავლდა სკვერები, ბავშვთა გასართობი ატრაქციონებით. მერიას კიდევ მეტი ამგვარი სიკეთე აქვს ჩაფიქრებული, მაგრამ კარგი იქნება, მოსახლეობის მხრიდანაც მოდიოდეს ხელშეწყობა. XXI-ე საუკუნეა და ბევრი ჩვენთაგანის შეგნება-გემოვნება, პასუხისმგებლობა მშობლიური ქალაქისადმი ჯერ კიდევ არ ამაღლებულა. ლამაზი ბორჯომი ხომ ჩვენი, აქ მცხოვრებთა კეთილდღეობაა. ტურისტ-დამსვენებელთა მოზიდვაც მათი მოხიბვლით უნდა იწყებოდეს.**

**რა გვიშლის ზოგჯერ ხელი რომ შევაშველოთ და წესრიგში მოვიყვანოთ ადგილები, სადაც ვმუშაობთ? მერე რა, რომ შენი ეზო და შენი სახლის შემადგენელი ნაწილი არაა? ბორჯომი ხომ ჩვენი სახლია? სახლი, რომლითაც სტუმართა წინაშე ვიწონებთ თავს? მშობლიური ქალაქი ხომ შენი ეზოდან იწყება.**

სამწუხაროდ, ჩვენი ქალაქი სავსეა ჩიხა-მახა ნაგებობებით. მტკვრის ნაპირი და საყრდენი კედლები ალაგ-ალაგ გასამაგრებელია, მაგრამ ვინ მიგიშვა ნაპირთან?

ასეთივე ფუნქციადაკარგული ბარაკებია ჭავჭავაძის ქუჩაზე, ქალაქის შემოსასვლელში, ერეკლეს ქუჩაზე, ყოფილ სანატორიუმ „მთის ხეობის“ შენობის გარშემო; ამავე შენობის მკვიდრს, ვინმე ავთანდილ მუშკუდიანს, წლების მანძილზე ჩაკიდული აქვს ხსოვნის პარკში ხის დანგრეული ბარაკი, რომელიც სამარცხვინოდ გამოიყურება ქალაქიდან. გაფრთხილების მიუხედავად, თავნება მოქალაქე არად აგდებს მერიის კანონიერ მოთხოვნას.

**ლიკანში, მესხეთის ქუჩაზე ორი 9-სართულიანი სახლის წინ,** ქალაქის მერიამ ულამაზესი სკვერი გააკეთა, მაგრამ ამ ყველაფერს წინ ისევ ფახვერკები და ბარაკები „ამშვენებს“. ქალაქის სხვა პერიფერიებშიც მრავლადაა მსგავსი ბარაკები, რომლებიც ინფრასტრუქტურულ დარღვევებსა და ქალაქის იერსახის დამახინჯებას ემსახურება.

ნუთუ აღარ უნდა გაგვეზარდოს გემოვნება ან დიდხანს უნდა ვიყოთ ძველმან-წვრილმანების დარაჯნი? მეგობრებო! XXI საუკუნეა! ეგებ სიახლეზე, მოწესრიგებულ გარემოზე, ლამაზ ქალაქზე გვეფიქრა, ქალაქზე – ევროპულზე... ჯერ კიდევ ფეოდალიზმის დროს რომ ევროპულ ქალაქად იყო წარმოდგენილი. ბორჯომი თავს იწონებდა ხარისხიანი შენობებითა და ხიდებით, პარკებითა და მრავალფეროვანი ლანდშაფტით...

**და რა გვჭირს დღეს? როდის დაადგება საშველი ქალაქგეგმარებას?** უნებლიედ მახსენდება ბარაკების ცნობილი ქალაქი როსინა, რიო დე ჟანეიროსთან. იგი არალეგალურად სახელდახელოდ აშენებულ ღარიბულ მასივს წარმოადგენს და დღესაც დიდი სატკივარია ბრაზილიელებისათვის. ასეთივე გარაჟულ-ბარაკული ბუმია ჩვენს ქალაქში, რაც საშინლად ჩანს დრონით გადაღებულ სურათებზე.

ბორჯომულ „ბარაკებში“ კი კეთილმოწყობილ ბინებში მცხოვრებ მოქალაქეებს დამატებით, უნებართვოდ ათვისებული აქვთ ტერიტორიები იმ ნივთების შესანახად, რასაც წლებია ვერ ელევიან: ძველმანებს, ქილებს, რემონტის ნარჩენებს, ათასგვარ ხარა-ხურას. ეს ხალხი არა მარტო ვერ ელევა ანტისანიტარიის ამ ბუდეებს, არამედ მათი ლეგალიზაციისათვის იბრძვის. ბრძოლის ხერხებად უსინდისო გზებსა და „კომბლების“ მოშველიებასაც კი კადრულობენ. ამ ჯგუფის ბარაკების დასაკანონებლად ყურს არ უგდებენ არც კანონებს, არც გენერალურ გეგმას, არც საგზაო წესებს, მეზობელთა ანგარიშის გაწევა ხომ საერთოდ გამორიცხულია.

**ლიკანში** მილჩენკოს ქუჩაზე, 2013 წელს ერთი ოჯახის ორსართულიანი სახლი მთლიანად დაიწვა,



რადგან დროზე მოსული სახანძრო მანქანები ვერ მიუდგნენ ხანძრის კერას. სანაპიროზე მიმდევრობით ჩადგმული ბარაკების წყალობით გზა ისეა დავიწროვებული, რომ მსუბუქი მანქანები უკანსვლით ძლივს ბრუნდებიან ხოლმე...

ისევ ვკითხულობ: როგორ გვინდა, რომ ჩვენი ქალაქ-კურორტი მიმზიდველი გახდეს ტურისტ-დამსვენებელთათვის?

**გვახსოვდეს, ლამაზი ბორჯომი მისი მაცხოვრებლების კეთილდღეობის საწინდარია!**

**იმავდროულად ახალგაზრდა თაობას უნდა მივცეთ მაგალითი, თუ როგორ მოვიყვანოთ წესრიგში ჩვენი ქუჩა, ტერიტორიები სახლის თუ სამსახურის წინ, საერთოდ ქალაქში.**

მადლობა ღმერთს, ქალაქშიც გვყავს კვალიფიციური დიზაინერები, არქიტექტორები, ლანდშაფტის მომწყობნი, მცენარეთა დეკორატორები დაგეხმარებიან. მათ ამ თემაზე აქვთ საამისო ცოდნა, გამოცდილება, გემოვნება და პასუხისმგებლობა.

ამ თემაზე არაერთი წერილი გამოქვეყნდა ჩვენს გაზეთში, სამწუხაროდ, არავინ გამოგვეხმაურებია, რაც იმაზე მიგვანიშნებს, რომ ქალაქის საზოგადოება კვლავ გულგრილია მშობლიურ ქალაქში არსებული პრობლემებისადმი. **გულისტკივილით უნდა ითქვას, რომ დღემდე ქალაქში ვერ ჩამოყალიბდა სამოქალაქო საზოგადოება, რომელიც პრინციპულად იბრძოლებს მსგავსი ნაკლოვანებების წინააღმდეგ, შექმნის მოუთმენლობის ატმოსფეროს და ღირსეულ წვლილს შეიტანს თანამოქალაქეთა მორალურ და ზნეობრივ აღზრდა-ჩამოყალიბებაში.**

რედაქციამ არაერთხელ ამხილა ბარაკებისა და ქალაქისათვის შეუფერებელი ავარიული ბინების თემა, მაგრამ პრობლემა კვლავ გადაუწყვეტელია.

**თუნდაც კულტურის სახლის უკან** არსებული დანგრეული შენობა, რომელიც ნაგვის ბუდედაა გადაქცეული.

**ვაშლოვანაში** მგზავრთა მოსაცდელის უკან პირუტყვის ბოსელია ჩადგმული და ნაკელი თითქმის გზაზე გადმოდის. როგორი სუნი იქნება, გასაგებია.

**9 აპრილის ქუჩაზე** 15 თუ 20 წლის წინ სახლი დაიწვა. ნანგრევები ისევ იქაა. მისი იერსახე არ შეესაბამება ჩვენს კურორტ-ქალაქს.

**ერეკლეს ქუჩაზე,** მარცხენა მხარეს დროებით ნაგებობები „ამშვენებს“, იქვე კაფეში უამრავი ტურისტი იყრის თავს და „ტკბება“ ამ ბარაკების ხილვით.

**ლიკანში,** ცენტრალური გზის სიახლოვეს ორსართულიანი გარაჟებია ჩამწკრივებული, როგორც ამბობენ, აქ არსებულ მრავალსართულიანი სახლის მობინადრეები გარაჟების მეორე სართულს თურმე დამსვენებლებზე აქირავებენ და ა.შ.

როგორც ჩანს, მოისუსტებს კონტროლი უნებართვოდ აშენებული ნეგებობებისადმი. ანდა, რა გვიკვირს, დღეს ხომ თავისუფლებას და დამოუკიდებლობას ვაშენებთ ჩვენს ბედკრულ ქვეყანაში.

**კი მაგრამ, როდემდე მეგობრებო, როდის შევიყვარებთ მშობლიურ ქალაქს? როდის დავიწყებთ ზრუნვას მისი იერსახის სრულყოფისათვის?**

**ვალერიან ლომიძე**

# რატომ დაიხურა „36.6“ აფთიაქი ბორჯომში?

**ბორჯომში, შიდეგ - მესხეთის №7 მისამართზე - 2006 წლიდან არსებობდა „აფთიაქი 36.6“, თუმცა ადგილობრივი მომხმარებლები მას, მაინც შინაურულად, ამ პატარა ქალაქში მოიხსენიებდნენ, როგორც „ქეთინოს აფთიაქს“. ქეთინო გოგაძე თავისი პროფესიონალიზმით, ფარმაცევტული განხრით უმაღლესი განათლებითა და მრავალწლიანი გამოცდილებით ერთნაირად საყვარელი პიროვნებაა ჩვენი მოსახლეობისთვის: „გაჭირვების ტალკვესი“ გაჭირვებული ადამიანებისთვის, იმედი და მრჩეველიც კი არანაკლებად, ვიდრე ექიმი. შვილები იზადებოდნენ მისი იმედით, რომ ქეთინო სასურველ დრომდე დააცდიდა ბავშვის საკვებისა, თუ საფენების თანხას ნებისმიერ ბორჯომელს. „დაბლოკა“, გააჩერა და კეთილი საქმის ჩადენის წყაროც ერთ ადგილზე „გაიყინა“. ნალოლიავები, საკუთარი ხელით აშენებული მცირე ბიზნესი თვითონვე ჩამოანგრევინეს, წყალში ჩააყრევინეს, ქარს გააყოლეს. „დიდ კაცსა პატარა კაცთან როდის გასვლია მართალიო“ - ალბათ, ჩვენს მკითხველს ეს სიტყვებიც კარგად მოეხსენება. რატომ უნდა იყოს გამოსავალი ქვეყნის დატოვება და სხვა ქვეყანაში სარჩო-საბადებელის ძიება? განა ეს კარგი ფონია სახელმწიფოსთვის? რატომ არ აქვთ მცირე მეწარმეებს ხელშეწყობა მონოპოლისტი კომპანიებისგან? ჰოდა, აქედან იწყება ეს ისტორიაც, რომელიც გულგრილს არ დატოვებს გაზეთ „ბორჯომის“ მკითხველს.**

■ **ქეთი, გთხოვ, მოგვიყევ, როგორ დაიწყო ყველაფერი და რატომ მივიდა საქმე ამ მიუღებელ კონდიციამდე?**

– 2006 წლიდან ჩვენ ვთხოვეთ და შევთავაზეთ სააფთიაქო ქსელს - „P.S.P“-ს და გავხსენით პირველი აფთიაქი. ეტაპობრივად გავხსენით მეორეც, მესამეც, რომლებმაც გაამართლა, განვითარდნენ ხალხის სიყვარულითა და ზოგადად, კონკურენციის თვალსაზრისით. ეს გზა გარედან ჩანდა ძალიან ალმავალი, მაგრამ ბევრი დაბრკოლების მიუხედავად, წინსვლას ვახერხებდი ჩემი ოჯახის თანადგომით, ჩემი მეუღლის მხარში დგომით. რატომ დაიხურა დღეს 36.6 - აფთიაქი? მიზეზი ყოვლად სუბიექტურია! ჩვენ ვიყავით პირველი პარტნიორი შ.პ.ს. - „P.S.P.“-ს სააფთიაქო ქსელის. თვითონ ამ ინიციალების განმარტება დღეს უკვე ძალიან ცინიკურად ჟღერს: „ნაბიჯ-ნაბიჯ წარმატებისკენ“. არადა, მართლაც ნაბიჯ-ნაბიჯ გაგვანადგურეს! თავიდანვე ხელშემწყობი, იმედისმომცემი გვერდში დგომა იყო, ვიდრე არ დადგა 2020-2021 წლები. უცებ აღმოვჩნდით მათთვის ნომერ პირველი კონკურენტი. თავიდან გვერქვა მათი შვილობილი კომპანია და უცებ აღმოვჩნდით ტვირთად. ძნელია ჩემი გონება მორალურად ამას შეეგუოს, რადგან მოსახლეობისთვის, მომხმარებლებისთვის ჩვენ ჯერ კიდევ ვახერხებდით სიკეთის კეთებას – ხელის გამართვას სოციალურად ისედაც დაუძლურებული ადამიანებისთვის. უნდა აღინიშნოს, არსებული სააფთიაქო ფართი გადმოცემული იყო კომპანიის მიერვე სარგებლობაში განუსაზღვრელი ვადით. ეს დასტურდება ჩემს ხელთ არსებულ დოკუმენტაციაში, რომელშიც წერია: **„2020-2025 წლამდე ჩვენს მოღვაწეობას არსებულ ფართში“.** ეს ხელშეკრულება დაირღვა! ჩაგვიხსნეს დაზღვევები, გაამწვავეს პირობები, გვიმალავდნენ მედიკამენტების ნაწილს - არ გვაწვდიდნენ, ან მოწოდებულ წამლებს გაცილებით მეტ ფასად ვიღებდით. ეს მაშინ, როცა 20-25%-ით იაფად ყიდდნენ თავიანთ ქსელში. ამ ყველაფერს ჩვენ ვუმკლავდებოდით, ვარეგულირებდით სხვადასხვა კომპანიების დახმარებით, რეალურ ფასში ვიღებდით მედიკამენტებს.

■ **კომუნიკაცია და მოლაპარაკება რა სახით გქონდათ?**

– ოფიციალური შეხვედრაც შედგა: დაგვიბარეს და მკაფიოდ გვითხრეს, რომ არსებულ ფართში უნდა გაეხსნათ თავიანთი ქსელის აფთიაქი. შეხვედრაზე მყოფმა პირებმა კონფიდენციალური მონაცემები ანონიმურად დაიტოვეს და დაგვიმალეს მათი გვარები. მოგვცეს




ორკვირიანი გონივრული ვადა, რათა დაუყოვნებლივ დაგვეცალა აღნიშნული ფართი. თუ მევახშურ-ვაჭრულ გზას ძირსძირამდე ჩავყვებით, ასე სწრაფად დაცლის მიზეზად დასახელდა ფრაზა: **ჩვენ უფრო მეტ მილიონებს ვიშოვით და თქვენ გვიშლით ხელსო...**

არადა, რამდენიმე წლის წინ თვითონვე გვავალდებულებდნენ გაგვერემონტებინა აღნიშნული ფართი, გაგვეახლებინა კომპიუტერულ-ტექნიკური ბაზა. ეს უნდა შესრულებულიყო მათი ხარჯებით, მაგრამ ეს ასე სულაც არ მოხდა და კოლოსარული თანხები დავხარჯეთ საკუთარი დანაზოგიდან. დღეს ქუჩაში გამოსვლა მიმძიმს, რადგან ყველა მიცნობს; აინტერესებთ, რა ბედი ეწია ჩემს აფთიაქს, რატომ დაიხურა... იმდენ სითბოს გამოხატავს ხალხი, რომ ემოციურად ეს ჩემთვის ძალიან ძნელია. ზოგი ტირის... თავაწეული გამოვდივარ ჩემ ქალაქში, რადგან ჩვენ ადამიანური მიდგომებით ვუწევდით სხვა აფთიაქებს კონკურენციას: ხელფასიდან ხელფასამდე, პენსიიდან პენსიამდე ვალზე გაცემა, დეფიციტური მედიკამენტების შეკვეთა და მოძიება, არაერთი სამადლობელი წერილი მაქვს შენახული, სულ ხალხისთვის ვფიქრობდი... მათი იმედი ხარ და ეს მქონდა კიდეც გააზრებული! მივიღეთ ფსიქოლოგიური, თუ მორალური წნეხი. მიუხედავად ამ ვერაგული მიდგომისა მათი მხრიდან, მაინც ბოლომდე ვცდილობდით მოგვეძებნა უკეთესი ვარიანტები თანამშრომლობის, მაგრამ ჩვენი აფთიაქი დამცინავად, ცინიკურად უკვე შეადარეს მომაკვდავ ადამიანს, რომელსაც არცერთი ინექცია აღარ შველის... ყველანაირი მცდელობა უშედეგოდ მთავრდებოდა. მათ მიზანს მიაღწიეს!

■ **დოკუმენტები ხელთ გაქვთ, სამართლებრივ მხარეში რატომ არ შედიხართ? ხელშეკრულების პუნქტები აშკარად დარღვეულია...**

– ჩვენ არათანაბარ ფინანსურ მდგომარეობაში ვართ, ჩვენ მათ - ამხელა მონოპოლიის მქონე კომპანიას ვერ მოვუგებთ. უძლურები აღმოვჩნდით ამ გარემოების წინაშე. თუ დავიწყებთ ამ სამართლებრივ დავას, დარწმუნებულები ვართ წლობით გაჭიანურდება. ეს არის ჯუნგლები, სადაც მხოლოდ ძლიერი იმარჯვებს! უღრანი ტყეა, საიდანაც თავს ვერ დავაღწევდით! რაშიც ჩვენი ცხოვრების საუკეთესო წლები ჩავდეთ, აურაცხელი შრომა მივუძღვენით, ყველაფერი გავატანეთ ქარს... ამ ეტაპზე დავცალეთ ფართი ავეჯისაგან, ტექნიკისაგან. არ წყდება ზარები ნაცნობ-თანაქალაქელებისაგან, რომლებიც გულისტკივილს გამოხატავენ... მივიღეთ დეპრესია და მორალური განადგურება. ჩემი და ჩემი დიდი ოჯახისთვის ეს იყო ერთადერთი შემოსავლის წყარო, ახლა კი დავრჩი ბედის ანაბარა...

■ **მცირე მეწარმის წინსვლით სახელმწიფოც ხომ უნდა იყოს დაინტერესებული? უფლებრივი საკითხებიც ხომ არსებობს?..**

— ჩვენ ამ ყველაფერს გულწრფელად და გულისწყრომით იმიტომ კი არ გიყვებით, რომ რაღაც ხავსს მოვეჭიდოთ. არა. უბრალოდ, ქალაქი მცნობს და მინდა პირნათლად ყველაფერი ავუხსნა მათ. დაიწეროს ჩვენი ისტორია იმიტომ, რომ დამწყებმა, მცირე მეწარმეებმა ისწავლონ ამ მძიმე გაკვეთილზე, წინასწარ გაითვალისწინონ ბევრად გონივრულად ყველაფერი. იქნებ, შეიქმნას კიდეც საკანონმდებლო დონეზე რაიმე მარეგულირებელი ბერკეტი, რათა იგივე ისტორია არ გადახდეთ ახალგაზრდებს. აგვიყვანეს, როგორც შვილობილი კომპანია და იმიტომ რომ, ფარმაცევტულ ბაზარზე მხოლოდ თვითონ ყოფილიყვნენ, მიგვატოვეს და მოგვიშორეს. ხშირად გვამოწმებდა ჯანდაცვის სამინისტრო და ყველანაირ პირობებს ვაკმაყოფილებდი კეთილსინდისიერად, კანონი არ დამირღვევია. ადგილობრივ მომხმარებლებს მრავალჯერ დაურეკავთ კომპანიის ცხელ ხაზზე, რომ აღედგინათ „PSP“-ს დაზღვევა ჩვენთვის. თე-




ქვსმეტწლიანი თანამშრომლობა ბოლოს ნაბიჯ-ნაბიჯ უფსკრულამდე მისვლად იქცა. სამცხე-ჯავახეთში არსად აღარ დარჩა „36.6“ - აფთიაქი, მოაშთეს და მოსპეს ყველა.

■ **რა ბედი ეწიათ თქვენთან დასაქმებულებს?**

- საერთო ჯამში, 14 დასაქმებული მყავდა. მათგან რამდენიმე დღეს წარმატებულად მუშაობენ სხვადასხვა აფთიაქში და დღემდე მათ „ქეთინოს გოგოებს“ ეძახიან. ჩემთან მომუშავე ეს ახალგაზრდები ბევრი წელია გვერდით მყავს. დიდი ამაგი მაქვს მათი ფარმაცევტული განვითარების კუთხითა და ხელშეწყობით, ამიტომ სულერთი არ იყო მათი ბედი და ცხადია, ქუჩაში ვერ დავტოვებდი. კატეგორიული მოთხოვნა იყო კომპანიამ დაასაქმოს ესენი. ვიბრძოლე ამისთვის. მათ გაიარეს ყველა საფეხური, ჩააბარეს გამოცდები, იკითხეს კიდეც: სად ისწავლეთ ამდენი რამეო. ისინი დასაქმდებიან ახალ „P.S.P“-ში.

ესაუბრა **მონიკა ჭანტურია**

**(ინტერვიუ დაფინანსებულია).**

# ახლა ახალგაზრდების დროა!



**ბორჯომის საზოგადოებას კარგად ახსოვს აქტიური საჯარო მოხელე, წლების მანძილზე საქმისთვის მოფუსფუსე, კოლორიტული ქალბატონი - ლიანა ანდღულაძე. დღესაც იმდენად შრომისუნარიანია, რომ მე სადღაც გავიფიქრე კიდეც: ასეთი ტემპერამენტის ადამიანი მხოლოდ სახლის თბილი სავარძლისათვის დანაშაული ხომ არაა-მეთქი. მისი დევიზი კი, მუდამ ასეთი იყო: მე წავალ და ახლა ახალგაზრდებმა იმუშაონო! 1969 წელს წითელ დიპლომზე დაამთავრა სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტი. სულ იმუშავა 52 წელი, მათ შორის, საჯარო სამსახურში 32 წელი; ძირითადად ხელმძღვანელ თანამდებობებზე სოციალურ დარგში. (საპენსიო ფონდის დირექტორი, სოციალური უზრუნველყოფის განყოფილების გამგე და სხვ.) მართლაც, 77 წლის გახდა ქალბატონი ლიანა და დღემდე არ ავიწყდებათ ეს მნიშვნელოვანი თარიღი მის თანამშრომლებს, მეგობრებს, დიდ სანაცნობო წრეს. ჩვენი გაზეთის რედაქციაც უერთდება მილოცვებს და აქვე გთავაზობთ მასთან ჩაწერილ ინტერვიუს იმის დასტურად, თუ როგორი უნდა იყოს საჯარო მოხელე, რა რჩევებს აძლევს ის ახალ თაობას და რას ნიშნავს, ემსახურო შენს ხალხს. ასეთ ქალბატონებს უნდა გავუფრთხილდეთ და მაგალითად დავუსახოთ ახალბედებს.**

● **თქვენი აზრით, რა თვისებები უნდა ჰქონდეს ოცდამეერთე საუკუნის საჯარო მოხელეს?**

- XXI საუკუნის საჯარო მოხელე უნდა იყოს პროფესიონალი, კარგი სპეციალისტი, მისი ძირითადი თვისება უნდა გამოიხატოს ადამიანების სიყვარულსა და პატივისცემაში, გულისხმიერებაში.

● **ამ გადასახედიდან და თქვენს გამოცდილებაზე დაყრდნობით, რას ურჩევდი დღეს მოსამსახურე პირებს?**

- ჩემი მრავალწლიანი შრომის შედეგად თანამედროვე მოსამსახურე პირებსა და ახლობლებს ვურჩევდი, პირველ რიგში, მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ მოვალეობას, გულთან ახლოს მიიტანონ თითოეული ადამიანის თხოვნა. თუ არ შეუძლიათ მათი მოთხოვნის დაკმაყოფილება დეტალურად აუხსნან - რატომ? რა შეიძლება გაკეთდეს? ხანდახან კარგმა სპეციალისტმა კანონს კი არ მოარგოს მოქალაქე, არამედ მოქალაქე მოარგოს კანონი ისე, რომ არაფერი არ დაშავდეს.

● **არის რაიმე, რასაც ნანობთ თქვენი მოღვაწეობის პერიოდიდან?**

- ყველაზე ძალიან ჩემი მოღვაწეობის პერიოდში ვნანობ, რომ ვერ შევასრულე ჩემი ჩანაფიქრი. მე და პატივცემულმა მიხეილ თვაურმა გადავწყვიტეთ ჩითახევში, სანატორიუმ „მტკვარის“ ბაზაზე გაგვეკეთებინა მოხუცთა პანსიონატი. მაშინ ძალიან დაგვეხმარა მინისტრი - თენგიზ გაზდელიანი: გამოიყო შენობა-ნაგებობა, შეიქმნა ყველა დოკუმენტი, მაგრამ 2004 წელს ჩვენ მოვხვდით „ჩარეცხილებში“ და განუხორციელებელი დარჩა იდეაც, მეც დავრჩი უსამსახუროდ ცოტა ხნით.

● **ხშირად, თქვენს გარშემო მყოფი ადამიანები მოგიხსენიებენ, როგორც „წითელ ჯვარს“, მუდმივი მზაობა გაქვთ დაეხმაროთ სხვას. როგორც ჩანს, ეს მოწოდებაა...**

- რაც შეეხება ჩემს სხვების დახმარების სიყვარულს, უფრო მეტად „დედა ტერეზას“ მიწოდებდნენ. იცით რატომ? ახლა რომ ვფიქრობ, მართლაც შეუძლებელს ვაკეთებდი. სამსახურს, ოფიციალურად, 6 საათზე ვამთავრდები, სახლში კი - 10 საათზე მივდიოდი. დავდიოდი გაჭირავებულ ოჯახებში. მძიმე დრო იყო, მაგრამ მე გამომდიოდა დახმარება, რისთვისაც დიდი მადლობა უნდა გადავუხადო იმ ხელმძღვანელებს, რაიონის გამგებლებს, თუ ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლებს, რომლებისგანაც მუდმივად ვიღებდი მხარდაჭერას. ისე მენდობოდნენ, რომ კითხვაც კი არ გასჩენიათ: რატომ და ვისთვის ვითხოვდი ამ დახმარებას. მახსოვს, 2002 წლის 23 იანვარს, ჩემთან კაბინეტში დილით დაირეკა ზარი. ედუარდ შევარდნაძე მილოცავდა ღირსების ორდენით დაჯილდოვებას. მისი სიტყვებია: **მაღალი პროფესიონალიზმისა და ნაყოფიერი საქველმოქმედო საქმიანობისთვის“-ო,** მითხრა და ამ წუთას მოვაწერე ხელი ბრძანებულებასო და გადავწყვიტე, პირველს მომელოცაო.

● **რას ურჩევთ დღეს ჩვენი ქალაქის სათავეში მყოფ ხელისუფალთ?**

- ჩემი მუშაობის პერიოდში 19 გამგებელი შეიცვალა. აქედან, სულ რამდენიმეს გამოვარჩევდი, როგორც საუკეთესოს. ამჟამად, რაიონს მშრომელი და პატიოსანი ადამიანები ხელმძღვანელობენ. ვერც დათოს და ვერც ოთარს ვერაფერს ვერ ვურჩევ, ორივე ძალიან გულისხმიერი და კარგი ადამიანები არიან.

● **რა არის თქვენთვის ბორჯომი და როგორი გინდათ ის ნახოთ, თუნდაც, 10 წლის შემდეგ?**

- ბორჯომი ჩემთვის საყვარელი ქალაქია, ჩემი ახალგაზრდობა და ჩემი სიბერეა. მითუმეტეს მე ამ ქალაქის „საპატიო მოქალაქე“ ვარ 2001 წლიდან. ბორჯომი კიდევ უფრო დამშვენდება, მთავარია, ხალხი იყოს დასაქმებული ისე, როგორც თუნდაც 20 წლის წინ.

● **რა ქმნის ადამიანის ღირსებას?**

- ადამიანის ღირსებას თვითონ ადამიანის განვლილი ცხოვრების ყოველი დღე ქმნის. როცა შენი ცხოვრების ყველა ნაბიჯი არის ღირსეული - ადამიანიც ხარ ღირსეული!

● **რას ვუტოვებთ ჩვენს მომავალ თაობას, როგორ ქვეყანას?**

- მომავალ თაობას ჩვენ ვუტოვებთ ჩვენს ტრადიციებს, სინდისიან და ნამუსიან ცხოვრებას. ქართველი ადამიანის საამაყო საქმიანობას. მჯერა ჩვენი ქვეყნის ნათელი და წარმატებული მომავლისა. ადამიანი იმედით ცოცხლობს, ღმერთმა ნუ მოგვიშალოს ეს იმედი.

● **რა დაგვანახა პანდემიამ?**

- პანდემია ჩემს ოჯახსაც შეეხო. ყველა აცრილი ვართ და ამიტომაც იოლად გადავიტანეთ ვირუსი. მთავარია, მარტო ჩვენს თავზე არ ვიფიქროთ და სახელმწიფოებრივად შევხედოთ ამ გამოწვევას. აცრა აუცილებელია, ბევრად ცუდად იქნებოდა ჩვენი მდგომარეობა.

ესაუბრა **მონიკა ჭანტურია**

# შექმნილი დისკომფორტი ცენტრალურ გზაზე

**ვაშლოვანის** დასახლებაში, ცენტრალურ გზაზე, შარშან გაზაფხულზე ახალი გზის საფარი დაიგო, მალევე, ერთ თვეში გაჩნდა ორმოები, რის გამოც, აღნიშნულ მონაკვეთზე შემოდგომით განმეორებით ჩატარდა სამუშაოები, იმ იმედით, რომ პრობლემა მოგვარდებოდა და ამჯერად მაინც დაიგებოდა ხარისხიანი ასფალტი და მსგავსი უხარისხოდ შესრულებული სამუშაოები საბოლოოდ აღმოიფხვრებოდა, მაგრამ შედეგი ზამთრის ყინვიანი დღეების შემდეგ, ასეთია - ორჯერ დაგებული გზის საფარი კვლავ დასაგებია და მგზავრთა მოსაცდელთან ისევ არაერთი ორმო გაჩნდა, რაც ავტომობილების მოძრაობას აფერხებს, ხოლო ფეხით მოსიარულეთათვის მოსაცდელზე დგომა მეტად დისკომფორტულია. ავტომანქანების გავლისას ქვეითები სავალალო მდგომარეობაში ვარდებიან, გუბეებიდან წამოსული შხეფები პირდაპირ მოქალაქეთა ტანსაცმელზე ჩნდება.



რამდენიმე ვაშლოვანელმა წუხილით მითხრა საუბრისას, რომ კიდევ ერთხელ გამეშუქებინა აღნიშნული პრობლება, რომელიც მცდელობების მიუხედავად ისევ მოსაგვარებელია და ისევ გაზაფხულს ელოდება.

ხარისხზე ორიენტირებულ სამუშაოებზე დიდიხანია ხმამაღლა ვსაუბრობთ, მაგრამ დღემდე აქილევსის ქუსლად იქცა. ძლიერ ყინვებსა და თოვლს, რომ უნდა გაუძლოს ხარისხიანმა გზამ ეს ტენდერში გამარჯვებულმა კომპანიებმა კარგად იციან, იციან თუ როგორი ხარისხით უნდა დააგონ გზის საფარი, რათა შემდგომში მსგავსი შემთხვევები თავიდან იყოს აცილებული.

მიუხედავად იმისა, რომ სამუშაოების დაწყებამდე ოფიციალურად განსაზღვრულია სამუშაოების შესრულების პერიოდი, ხარისხი და უამრავი სხვა დეტალი, რაც თავისთავად დამკვეთსა და შემსრულებელს უამრავ მოვალეობებს აკისრებს, ლოგიკურია რომ ხარვეზების გარეშე უნდა სრულდებოდეს დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. მიზეზად არ უნდა გვექცეს მკაცრი კლიმატური პირობები.

სამწუხაროდ, საქმეს ვერ შველის მეგზევეების განმარტება, აზერბაიჯანიდან და ირანიდან უხარისხო ბიტუმი მოგვაწოდესო. თუ უხარისხოა, არ უნდა დააგო და მოსახლეობას დისკომფორტი არ უნდა შეუქმნა. ხარისხიანად დაგებულმა გზამ სამი-ოთხი წელიწადი მაინც უნდა გაძლოს.

**იზა იანვარაშვილი**

იუბილარი

# მარადიული სიყვარულის მძებნელი

**თუ ვინმე ამდიდრებს ჩვენს გაზეთს ზნეობრივ-რელიგიური თემატიკის წერილებით, ეს, პირველ რიგში, ბორჯომელი დემურ არონიშიძეა.**



მაღალი სულიერება, ზნეობრიობა, მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობა, - აი, ბატონი დემურის შინაგანი სამყაროს გამოხატულება.

იყო პროფესიით მშენებელი, ხელოსანი, ქალაქის გათბობის სამსახურის მთავარი ინჟინერიც, მაგრამ მთავარი მისთვის მეორე „მე“ იყო და არის - სულიერების, წიგნიერების, პოეტურობის სამყარო.

წერს ლექსებსაც, ,,სახალხო მთქმელად“ იწოდება, მაგრამ პოეტობაზე სულაც არ აქვს პრეტენზია. მისი წერილები რელიგიურ-ფილოსოფიურიცაა, მაგრამ არც ფილოსოფოსობაზე დებს თავს და არც მოძღვრობაზე.

მისი ეს მოწოდება, მეორე „მე“ თავისით მოვიდა, თვითგანათლებით მოვიდა. ამიტომ არ გამკვირვებია, ჩემთან საუბარში რომ მითხრა **„ჯამაგირს რომ ავიღებდი, ჯერ წიგნების მაღაზიაში მივდიოდი, შემდეგ - პურის მაღაზიაში“(!)...**

უწყინარი, უპრეტენზიო, მაგრამ სხვისი მიღწევების ობიექტურად შემფასებელი, ემოციების დინჯად გამომხატველი...

**ამ დღეებში ბატონ დემურს 80 წელი შეუსრულდა.** ეს დამრგვალებული, საიუბილეო თარიღიც მე შევახსენე, თორემ მის აღნიშვნაზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენს გაზეთში მასზე რამე რომ დაწერილიყო, არც ამაზე არასდროს უფიქრია...

1995 წლიდან მარიამ ღვთისმშობლის ეკლესიაში დადის სალოცავად, სახლიდან ეკლესიამდე კილომეტრ-ნახევარი მისთვის არაფერია, თითქმის ყოველთვის ესწრება წირვას. ეკლესიურობის დაწყების მიზეზი რომ ვკითხე, ასეთი რამ მითხრა: ჩვენი ქვეყანა ძალიან ცუდ დღეში რომ იყო, ამიტომ დავიწყე ეკლესიაში სიარული, სანთლების დანთება და ლოცვაო...

**,,სიკვდილი გვახსენებს თავს,**
**სიცოცხლე რა უცებ მიქრის;**
**ვერაფერს წავიღებთ თან,**
**მხოლოდ - სიყვარულსა და ტკივილს;**
**ყმაწვილს ოცნებები აქვს,**
**ის უსმენს ჩიტების ჭიკ-ჭიკს;**
**სიბერე დაგვიკრავს თავს,**
**დაგვითვლის საათის ,,ტიკ-ტიკს“.**
**განთიადს ველოდოთ კვლავ,**
**ვუსმინოთ მამლების ყივილს!**
**გავუყვეთ ტაძრისკენ გზას,**
**რომელიც ღმერთისკენ მიდის“...**

რვა წლის წინ მეუღლე - გულნაზი ქურდაძე მოულოდნელად გარდაეცვალა, რომელიც ტაშისკრის ინტერნატში ასწავლიდა დაბალ კლასებში. დარჩა მარტო. ორი შვილი ჰყავს: ეკა და ზაზა. ეკა ჩარხისწყალზე ჰყავს გათხოვილი, რომელსაც ორი ვაჟი ჰყავს. ზაზა 20 წელზე მეტია ესპანეთში ცხოვრობს. მასაც ორი შვილი ჰყავს, ქალ-ვაჟი. **დემურის სადარდებელი ის არის, რომ ზაზას შვილებმა ქართული არ იციან.** ამბობს: ასე იწრიტება ეროვნული ენერგია, ასე ვცოტავდებით ქართველებიო...

სახლში ტელევიზორი აქვს, მაგრამ არ რთავს. ქართული არხებიდან იმდენი სიძულვილი იღვრება, 7 წელია აღარ ჩამირთავსო, მხოლოდ რადიოს ვისმენო. არც მობილურ ტელეფონს ხმარობს ბატონი დემური. გულმოკლულია იმით, რომ სკოლებში აკრძალეს რელიგიის სწავლება და იქ „რელიგიის კუთხეები“ აღარ აქვთ. ეს როგორ შეიძლება, ბავშვის ზნეობის საფუძველი რელიგიური აღზრდაცააო. უფლის სიყვარულით ხომ ბავშვებს სიყვარულს ვასწავლით. რელიგიის სწავლება რომ აკრძალეს, ამიტომაა მოზარდთა აღზრდა შავ დღეში, ამიტომ გვყავს ამდენი ნარკომანი, ამიტომაც გახშირდა თვითმკვლელობები ბავშვებშიც. ამას დაემატა გეი-აღლუმების პროპაგანდა, ევროპა-ამერიკიდან წამოსული გახრწნილობა. ებრძვიან ქრისტიანობას, მაგრამ არაფერი გამოუვათ! უფალი ხომ უსაზღვრო სიყვარულია, მარადიული სიყვარულია, იმედების საუფლოა. განა შეიძლება ბავშვი ამ იდეალების გარეშე გაიზარდოს?

თვალი გადავავლე ბატონი დემურის ლექსების თემატიკას. შეიძლება ითქვას, აქაც მხოლოდ სიყვარულის მძებნელია ლექსების ავტორი.

აი, მისი სტრიქონების ლაიტმოტივი: **„ყველაფერი რომ ამ ქვეყნად გაქრეს, სიყვარული ხომ დარჩება ბოლოს...“!**

მომავლის იმედებით სავსეა ეს ლექსიც:

მოხდა ისე, რომ გულის უკმარისობის გამო ბატონი დემური საავადმყოფოში შეხვდა თავის 80 წლისთავს! საბედნიეროდ, მკურნალობის შემდეგ უკეთ არის.

**შენეული უფლის იმედით კიდევ დიდხანს იცოცხლე, ჩვენო დემურ!**

უშანგი ჯანგირაშვილი

---

დედის ნაამბობი

# პატარა ნიცამ COVI-19 დაამარცხა

**ნინი გუბელაძემ პატარა ნიცასთან ერთად, რომელიც ახლა 1 წლისა და 2 თვისაა კორონავირუსი დაამარცხა. დედა საუბრისას გვიყვება, მიუხედავად იმისა, რომ ვირუსი მარტივი სიმპტომებით მიმდინარეობდა, პოსტკოვიდური პერიოდი ძალიან რთული იყო, ჯოჯოხეთი გამოვიარეთ.**

**- ბავშვს ძილში გულის რევა ჰქონდა, 39 სიცხე, ამასთან საშინელი დიარეა. უმადობა და უხასიათობა ერთვოდა თან. მე სპაზმური ხველა, სახსრების ტკივილი მქონდა, განსაკუთრებით მტკიოდა წელი და მაჯები.**



**● როგორ გაუმკლავდით ამ რთულ პერიოდს?**

- ნიცა საავადმყოფოში იწვა, ექიმები გადასხმას ვერ უდგამდნენ - სუსტი ვენების გამო. ბავშვი 35 ნაჩხვლეტით იყო, შვილს ვერ ვცნობდი, ისე წუხდა. საუკეთესო ექიმების გარემოცვაში მკურნალობდა, ყურადღებიანი და პროფესიონალი მედპერსონალი პატარას გამოჯანმრთელებისათვის ყველაფერს აკეთებდნენ. მადლობა მათ, რომ ნიცა დღეს კარგადაა.

**● თავად როგორ გაუმკლავდი ვირუსს?**

- დროის გასვლის შემდეგ თანდათანობით გამიარა. იმ პერიოდში ექიმი მხოლოდ ტკვილგამაყუჩებელს მინიშნავდა.

**● აცრის მნიშვნელობაზე საუბრობდი?**

- აცრის გარდა თავის დასაცავად სხვა ალტერნატიული გზა უბრალოდ არ არსებობს. ამას ჩემი პირადი მაგალითიდან გამომდინარე ვამბობ, სამწუხაროდ, მე აცრილი არ ვიყავი. აცრა არ გვიცავს იმისგან რომ კოვიდი არ შეგვხვდეს, აცრა გვიცავს იმისგან რომ მარტივად გადავიტანოთ ვირუსი.

**● რჩევები, რომლებიც ექიმისგან მიიღეთ?**

- ჩვეულებრივ ექიმმა გვირჩია სუფთა ჰაერზე სეირნობა, სითხეების მიღება და სიმშვიდის შენარჩუნება.

იზა იანვარაშვილი

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის №24.04.59
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის ქ.№2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს გამომცემლობა „საარში“. ქ. თბილისი, თევდორე მღვდლის ქ.№57.
borjomi@inbox.ru რედაქტორი: ვალერიან ლომიძე

წერილი რედაქციას

# მადლობა

**მადლობა** ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერს, ძალიან გულისხმიერ, ზრდილობიან, სხვისი გასაჭირის გულთან მიმტანს, საამაყო შვილს ბორჯომისას - **ოთარ არბოლიშვილს**. ერთ ჩვეულებრივ დღეს მივედი მასთან, ავუხსენი ჩემი მდგომარეობა ამ მკაცრ ზამთარში. ვსაჭიროებდი შეშას გასათბობად. გულწრფელად ამიხსნა: იქ, საიდანაც საშეშე მერქანი უნდა მოეტანათ, ყინვას დაუფარავს ის ადგილი. როგორც კი იქნება საშუალება, პირად ნომერზე დაგირეკავთო. სიმართლე გითხრათ, არ ველოდებოდი არაფერს. ორ კვირაში დამირეკეს და დაკოტრილი შეშა მომიტანეს. როგორმე ამ ზამთარს გამატანინებს. მარტიდან კი თვითონ ვივლი ტყეში და რაღაც ნარჩენებს მე თვითონაც შევაგროვებ. მადლობელი ვარ ჩემნაირი უბრალო ხალხისთვის რომ იცლის და არ ავიწყდება, ვის როგორ გაუმართოს ხელი. მშვიდობიანი ზამთარი მის ოჯახსა და მთლიანად ქვეყანას.

პატივისცემით, იზოლდა ძაბახიძე

# ბაკურიანში ევროპის და მსოფლიოს თასის ეტაპები გაიმართება

**ბაკურიანში თხილამურითა და სნოუბორდით თავისუფალი სტილით სრიალში, ევროპისა და მსოფლიო თასის ეტაპები გაიმართება.**



2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ჩატარებამდე ბაკურიანმა მაღალი რანგის სატესტო ღონისძიებებს უნდა უმასპინძლოს, ამისთვის 19-20 თებერვალსა და 3-7 მარტს ბაკურიანში საერთაშორისო სათხილამურო ფედერაციის ეგიდით, თხილამურითა და სნოუბორდით თავისუფალი სტილით სრიალში, ევროპისა და მსოფლიო თასის ეტაპები გაიმართება.

ღონისძიებაზე დასწრების მსურველებს კომფორტული ავტობუსები უფასოდ მოემსახურებათ.

მოგეხსენებათ, რომ თებერვალსა და მარტში ბაკურიანში ევროპის და მსოფლიოს თასის ეტაპები გაიმართება. ბაკურიანში ჩამოსულ სტუმრებსა და ადგილობრივებს ახალი ავტობუსები მოემსახურებათ, - განაცხადა ბაკურიანის განვითარების სააგენტოს ხელმძღვანელმა **ეკატერინე ორჯონიკიძემ.**

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის ფინანსური მხარდაჭერით სსიპ ბაკურიანის განვითარების სააგენტოს 10 ახალი მიკროავტობუსი გასულ წელს გადასცეს.

---

# ვამაყობ ბორჯომით!

**ახალი წლის წინა დღეებში თბილისში, საჯარო ბიბლიოთეკის დიდ დარბაზში, ხალხმრავალი ღონისძიება მიეძღვნა 2021 წელს რეიტინგულ გაზეთად გამოცხადებულ გაზეთების: „ლიტერატურულ საქართველოს“, „ბორჯომის“ და „შირაქის“ პრეზენტაციას.**

ღონისძიების სულისჩამდგმელი გახლდათ რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი **ნანა ჭიჭინაძე**. ღონისძიებას ესწრებოდნენ კახეთის რეგიონიდან პრესის წარმომადგენლები. გაზეთ „შირაქის“ რედაქტორი **ინგა შიოლაშვილი, ჟურნალისტი ჟუჟუნა ყანჩაშვილი.** პოეტი **თემურ ჩალაბაშვილი,** ქიზიყელების საამაყო შვილი (შარშან 70 წელი შეუსრულდა), რომელმაც წაიკითხა თავისი ლექსი „აღსდექ საქართველო“, იგი დღევანდელ ყოფას ეძღვნება. მერე სიყვარულით მომმართა, ბორჯომელებო, ბედნიერ ახალ წელს გისურვებთო. ჩემს მიერ მრგვალ მაგიდაზე გაწყობილი გაზეთი „ბორჯომი“ აიღო და ღიმილით მითხრა - წავიკითხავ, მინდა გავიგო რა ხდება ამ ულამაზეს მხარეშიო. ის პოეტმა **ტარიელ ხარხელაურმა** შეცვალა. თავისი ლექსით, წუხილი გამოთქვა, რაც დღეს ყველა პოეტის საფიქრალია. ტარიელი შეცვალა სტუდენტმა გოგონამ **მარიამ ტოხოშვილმა.** შეხვედრაზე ისმოდა პოეტების **ლევან ალავერდაშვილის, თემურ წიკლაურის, გიორგი ხორბალაძის, ზიზო ბურდულის, ცირა ყურაშვილის, დავით დარბაიძის** ლექსები. ღონისძიებას ესწრებოდნენ მეღვინეობის დარგში ცნობილი პირები **ვახუშტი ქიზიყურაშვილი,** მევენახეობის ენციკლოპედიის ავტორი, დოცენტი **თამაზ კობაიძე.** ხელოვნების დარგის ცნობილი წარმომადგენლები: კომპოზიტორი **ვაჟა აზარაშვილი, კახა ცაბაძე, მედეა ამირანაშვილი.**

გაიმართა კონცერტი. კონსერვატორიის პროფესორმა **ნათია ქავთარაძემ** ათწლედის მოსწავლეების შესახებ მოგვითხრო. დარბაზში ისმოდა ლისტის, რახმანინოვის, შოპენის ნაწარმოებები. კონსერვატორიის ვოკალის კლასმა პედაგოგების **მარინა ფარულავას და ნათია აზარაშვილის** სტუდენტებმა **მარიამ როინიშვილმა, თამარ მიშელაძემ, მაია კობეშკიძემ, გიორგი ჭელიძემ** არიების შესრულებით გამოიჩინეს თავი. ფორტეპიანო და ვოკალი შეცვალა კომპოზიტორთა კავშირის ტრიომ ვაჟა აზარაშვილის „ნოსტალგიით“. დამთავრდა კონცერტი და თითქოს აღარავის სურდა დარბაზის დატოვება. წაიღეს კახელებმა ჩვენი „ბორჯომი“. სიტყვით გამოვიდა ბორჯომის საპატიო მოქალაქე **ვაჟა აზარაშვილი.** შარშან მას 85 წელი შეუსრულდა, ხოლო ქართული სიმღერის ბერმუხას **ნოდარ მამისაშვილს,** ქართული მუსიკის ბერმუხას - 90. გაიმართა ალაფურშეტი..

კახა ცაბაძემ თავისი საბავშვო და საყმაწვილო სიმღერების კრებული და სიმღერების დისკი „აღსარება“, ხოლო ბატონმა ვაჟამ დისკი წარწერით „მღერის და უკრავს ვაჟა აზარაშვილი“ მაჩუქეს.

აუარებელი თბილი სიტყვა და სიყვარული გამოითქვა ბორჯომზე და ბორჯომელებზე გაზეთ „ბორჯომს“ მაგიდიდან იღებდნენ ის ასაკიანი ჟურნალისტები, ვინც კარგად იცნობდნენ **ვალერიან ლომიძეს** და **უშანგი ჯანგირაშვილს**. მოკითხვას და საახალწლო სურვილებს მაბარებდნენ. მიხაროდა, როცა ამდენ საქებარ სიტყვას ვისმენდი გაზეთ „ბორჯომის“ ჟურნალისტებზე.

დალი ქურდაძე

**„ომიკრონის“ შემთხვევაში პაციენტი გადამდებად ითვლება ინფიცირებამდე 2 დღით ადრე და ინფიცირებიდან 4-5 დღის განმავლობაში.**

# ვლადიმერ (ვლადიკა) კაზანჯევის გახსენება



**შენი გარდაცვალებიდან 40 გაუსაძლისი დღე გავიდა. 80 წელი იცოცხლე. ბევრი სიკეთე აკეთე ამქვეყნად, ვალმოხდილი წახვედი, მაგრამ უსაზღვრო სევდა და მწუხარება დაგვიტოვე.**

**მძიმეა უშენობა, კარგი მეოჯახე, მოსიყვარულე მეუღლე, მამა და ბაბუა იყავი. მოგვენატრა შენი ლამაზი ღიმილი. ბორჯომში თითქმის ყველა გიცნობდა, როგორც გამორჩეულად კეთილ და თბილ ადამიანს. მთელი ცხოვრება ხალხის სამსახურში გაატარე, შენ ხომ ახლობლების, მეგობრების და თანამშრომლების გული და სული იყავი.**

**ღმერთმა ნათელში გამყოფოს, მსუბუქი ყოფილიყოს შენს გულზე დაყრილი მშობლიური ბორჯომის მიწა, რომელიც სიცოცხლეზე მეტად გიყვარდა.**

იხსენებს ოჯახი.